



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლითონსაჭრელი ჩარხი

ლითონსაჭრელი ჩარხი, მანქანა, რომელზეც ლითონის ნამზადს ამუშავებენ ლითონსაჭრელი იარაღით. ლითონის ჭრით დამუშავება უძველესი დროიდან არის ცნობილი. საქართველოში (თრიალეთში) არქეოლ. გათხრების შედეგად აღმოჩენილია ოქროსა და ვერცხლის ფიალები და თასები, რ-ებიც ძვ. წ. XV ს. მიეკუთვნება. მეცნიერთა აზრით, ისინი სახარატო ტიპის ბრუნვით ჩარხებზეა დამზადებული.

დანიშნულების მიხედვით ლ. ჩ. არის უნივერსალური – ფართო ნომენკლატურის ნამზადებზე სხვადასხვა ოპერაციის ჩასატარებლად; სპეციალიზებული – ერთნაირი ტიპის სხვადასხვა ზომის დეტალების დასამუშავებლად; სპეციალური – ერთნაირი ტიპისა და ზომის ნაკეთობათა დასამუშავებლად. მართვის მიხედვით ლ. ჩ. შეიძლება იყოს ხელით სამართავი, ნახევრად ავტომატური და რიცხვით-პროგრამული მართვის. ბოლო ათეულ წლებში მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა რიცხვით- პროგრამული მართვის ტიპის ლ. ჩ-ები, რაც ხელს უწყობს საწარმოო პროცესების სრულ ავტომატიზაციას.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი თბილ. ჩარხსაშენებელმა ქ-ნამ გამოუშვა (1936) პირველი ჭანჭიკსაჭრელი ჩარხი. შემდეგ წლებში ჩარხმშენებლობის გაერთიანებამ დაიწყო თანამედროვე ტიპის სახარატო ხრახნსაჭრელი, სპეც. მილდასამუშავებელი, აგრეთვე მაღალი სიზუსტის სახეხი ჩარხების და სხვ. გამოშვება, რ-ებიც იგზავნებოდა მრავალ ქვეყანაში. სპი-ში (ახლანდ. სტუ) მანქანათმშენებლობის ტექნოლ. კათედრაზე შექმნეს ახ. მხურვალმედეგი და სპეც. ფოლადების დასამუშავებელი უნიკალური და უცენტრო ჩარხები, როტორული სარანდი და სხვა ჩარხების პრინციპული სქემები და კონსტრუქციები. ამავე ინ-ტის ლ. ჩ-ების კათედრაზე დაამუშავეს ჩარხების კინემატიკური გაანგარიშების კონტაქტური სიხისტის საკითხები.

საქართველოში ჩარხმშენებლობის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით მეცნიერებს: გ. გოცირიძეს, თ. ლოლაძეს, გ. ჩიხლაძეს, ვ. ცოცხაძეს; კონსტრუქტორებს: თ. შენგელიას, პ. აბესაძეს, ლ. კულიკოვს, გ. ბენდუქიძეს და სხვ.

ლიტ.: Reimund Neugebauer (Hrsg.): Werkzeugmaschinen: Aufbau, Funktion und Anwendung von spanenden und abtragenden Werkzeugmaschinen, B., 2012.

თ. ნამიჩეიშვილი
